, 30/12/2016

010240010.10.003.019698

№631

2016 30 .

2017-2020

2017-2020 2017

1

“ ” , -5 „ “ -6 , :

1. 2017-2020 .
2. 2017-2020 2017

.

2

.

-

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია

2017-2020

შინაარსი

შესავალი 5

1. სიტუაციის ანალიზი 9

1.1. ადმინისტრაციული მოწყობა და მმართველობა, მოსახლეობა და მიგრაცია 9

1.1.1. ზოგადი მიმოხილვა 9

1.1.2. ადმინისტრაციული მოწყობა 9

1.1.3. მმართველობა 10

1.1.4. მოსახლეობა, მიგრაცია 11

1.1.5. მაღალმთიანი რეგიონები 12

1.2. ეკონომიკური მიმოხილვა 14

1.2.1. მთლიანი შიდა პროდუქტი და ვაჭრობა 14

1.2.2. ეკონომიკური აქტივობა სოფლად 17

1.2.3. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა 20

1.2.4. სოფლის მეურნეობა 22

1.2.5. ტურიზმი 26

1.2.6. სოფლის ინფრასტრუქტურა - გზები, წყალმომარაგება, გაზის მიწოდება, ინტერნეტი და კავშირგაბმულობა 28

1.2.7. სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა 33

1.2.8. სოფლის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები 35

1.3. ჩართულობა – თანამშრომლობა ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის 42

1.4. სოციალური სერვისები – განათლება, კულტურა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა 44

1.4.1. განათლება 44

1.4.2. კულტურა 45

1.4.3. ჯანმრთელობის დაცვა 46

1.4.4. სოციალური დაცვა 47

1.5. დაცული ტერიტორიები, ბიომრავალფეროვნება, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, წარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება 49

1.5.1. დაცული ტერიტორიები 49

1.5.2. წიადაგური რესურსები 50

1.5.3 ტყის რესურსები 50

1.5.4 ბუნებრივი სათიბ-საძოვრები 52

1.5.5. წყლის რესურსები 53

1.5.6. წარჩენების მართვა 54

1.5.7. კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები 55
2. ძირითადი გამოწვევები 57
2.1. ეკონომიკური განვითარება და კონკურენტუნარიანობა 58
2.2. სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე 59
2.3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა 60
3. SWOT ანალიზი 60
4. სტრატეგიული ხედვა და ამოცანები 63
4.1. ხედვა 63
4.2. სტრატეგიული ამოცანები 63
4.2.1. პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა 63
4.2.2. პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე 64
4.2.3. პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა 64
5. რისკების შეფასება 64
6. განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 65
6.1. ზოგადი მიმოხილვა 65
6.2. განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო და კოორდინაცია 66
6.3. დაფინანსება 66
6.4. საერთაშორისო თანამშრომლობა 67
6.5. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა 67
6.6. მონიტორინგი და შეფასება 67

ტერმინთა განმარტება

ENPARD	ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა
DCFTA	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
HDI	UNDP-ის ადამიანის განვითარების ინდექსი
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
LEADER	"Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale" (სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი)
STEM	ტექნიკური საგნები
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
რეგიონი	სახელმწიფო წრმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორია

შესავალი

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის განვითარებას. სოფლის განვითარება საერთაშორისო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის და სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებისთვის.

აუცილებელია სოფლის მეურნეობის იმ პოტენციალის კარგად გაცნობიერება, რომელსაც შუძლია ინოვაციური, ინკლუზიური და მდგრადი გადაწყვეტილებების შემოთავაზება ისეთი მიმდინარე და სამომავლო საზოგადოებრივი გამოწვევების დასაძლევად, როგორიცაა ეკონომიკური კეთილდღეობა, სასურსათო უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, რესურსების მართვა და სოციალური ჩართულობა.

სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, რაც უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული სტრატეგიების განხორციელებით და მრავალდარგობრივი მიდგომებით. ამ პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა. მათ მეტი მნიშვნელობა უნდა შესძინონ სოფლის იდენტობას და შექმნან მდგრადი განვითარების საფუძველი, უზრუნველყონ სოციალური ჩართულობა და ადგილობრივი განვითარება, ისევე როგორც ხელი შეუწყონ მეურნეობებისა და თემების სიცოცხლისუნარიანობას სოფლად.

სოფლის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% (1,591.9 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), ხოლო 2015 წელს დასაქმებულთა 48.6% სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობაშია დასაქმებული. 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 9.1%-ს შეადგენს.

საქართველოს სოფლების დინამიური განვითარებისკენ მიმართული მიდგომა უნდა აერთიანებდეს კომპლექსურ და სტრატეგიულ მეთოდებზე დაფუძნებულ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა ყოფა და ამავდროულად, გაუმჯობესდება და უკეთ იქნება დაცული კულტურული მემკვიდრეობა და ბუნებრივი გარემო.

ამგვარი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობას, სოფლის მოსახლეობისათვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და მარკეტინგის ხელშეწყობას, ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ტყის და ბუნებრივი

რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე სოციალურ ჩართულობას და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მოგვარების გზებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ ეტაპზე არ გააჩნია სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უკვე წარმატებით ხორციელდება როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება" თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. "მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით" (ასოცირების შეთანხმება, მუხლი 333).

ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკას 2020 წლამდე 6 ძირითადი პრიორიტეტი[1] აქვს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური, სოციალური და გარემოს კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევისკენ. ესენია:

1. სოფლად, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
2. ყველა რეგიონში, ყველა ტიპის სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა;
3. სურსათის წარმოებაში ღირებულებათა ჯაჭვის ორგანიზების ხელშეწყობა, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და მარკეტინგი, საქონლის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობაში რისკების მართვა;
4. სოფლის მეურნეობასა და ტყის რესურსებთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და გაუმჯობესება;
5. რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, სურსათის წარმოებასა და მეტყევეობაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის

[1] http://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020/index_ge.htm

მხარდაჭერა;

6. სოფლად სოციალური ჩართულობის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ევროკავშირის მიდგომის მთავარი მახასიათებელი და გაცხადებული მიზანია საზოგადოების ძალისხმევით გამოვლინდეს ადგილობრივი პრიორიტეტები, განისაზღვროს სტრატეგიები, საითკენაც შემდგომში მიმართული იქნება ინვესტიციები. მნიშვნელოვანია ამგვარი მიდგომის საქართველოში გამოყენების მექანიზმების შემუშავება და იმის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედებს ეს მექანიზმი ამჟამინდელ რეგიონული და მუნიციპალური დონის დაგეგმარებაზე. ადგილობრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ მექანიზმად შესაძლებელია განხილულ იქნეს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) ფუნქციონირება.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე დგას. ჯერ-ჯერობით ისევ გამოწვევაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის არასაკმარისი გამოყენება, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა დედაქალაქსა და დანარჩენ რეგიონებს შორის როგორც მოსახლეობის საშუალო ყოველთვიურ შემოსავლებში, ასევე, საშუალო ყოველთვიურ შემოსავლებში ერთ შინამეურნეობაზე და მოსახლეობის ერთ სულზე. თბილისში ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში. იგივე მდგომარეობაა ხარჯების კუთხითაც. თბილისში შექმნილი დამატებული ღირებულება ქვეყანაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 48.4%-ია (2014). მხოლოდ ამ მაჩვენებლებითაც ცხადია, რაოდენ დიდი განსხვავებაა ქალაქის (ამ შემთხვევაში - თბილისის) და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის.

სწორედ ამ უთანაბრობის გამოსწორებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების ერთიანი ხედვის და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ სურათს და დაფუძნებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ პრაქტიკაზე, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და სოფლის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობას.

წინამდებარე სტრატეგია შემუშავებულია საქართველოში სოფლად არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე და მასში ასახულია არსებული შეფასებები და ადგილზე განხორციელებული მიმდინარე პროგრამები. სპეციფიური ღონისძიებები გაწერილია თანდართულ სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიაში ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

ტერმინი „სოფლად" გულისხმობს არა მხოლოდ სოფლებს (როგორც სოფელი განმარტებულია კანონმდებლობით) არამედ სხვა დასახლებულ პუნქტებსაც. მაგალითად, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბა ან ქალაქი. თბილისის შემთხვევაში კი ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებს - რაიონებს, რომლებიც შედის თბილისის საზღვრებში.

სოფლის განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომელიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან.

წინამდებარე სოფლის განვითარების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2017 წლისთვის) შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩართულობით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. დოკუმენტის შემუშავების პროცესში ასევე უზრუნველყოფილ იყო დაინტერესებულ პირთა ჩართულობა. შეხვედრები ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლებთან, მათ შორის, მუნიციპალიტეტების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

1. სიტუაციის ანალიზი

1.1. ადმინისტრაციული მოწყობა და მმართველობა, მოსახლეობა და მიგრაცია

1.1.1. ზოგადი მიმოხილვა

გრაფა 1: რუკა და ძირითადი მახასიათებლები

საქართველოს ფართობი 69 700 კვ. კმ-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 3.7 მილიონი ადამიანია. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა დინამიურად ვითარდებოდა. 2015 წელს, მშპ 31,755.6 მლნ ლარს ხოლო ერთ სულ მოსახლეზე - 8,550.9 ლარს შეადგენდა.

1.1.2. ადმინისტრაციული მოწყობა

საქართველო უნიტარული სახელმწიფოა. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის "შემდეგ". დღეისათვის, საქართველოში 76 მუნიციპალიტეტია, მათ შორის, 64 თვითმმართველი თემი და 12 თვითმმართველი ქალაქი. ქვეყანა დაყოფილია 9 ტერიტორიულ რეგიონად. საქართველოს შემადგენლობაში შედის 2 ავტონომიური რესპუბლიკა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილია დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეული.

მთლიანი ფართობი: 6.97 მლნ ჰა
სასოფლო-სამეურნეო ფართობი: (2004) 3.03 მლნ ჰა
სახნავ-სათესი მიწა 0.802 მლნ ჰა
მრავალწლოვანი კულტურები 0.26 მლნ ჰა
მინდვრები და საძოვრები 1.79მლნ ჰა
მშპ (2015): *31,755.6 მლნ ლარი*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (2015): 8,550,9 ლარი
სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში (2015): 9.1%
GINI (2014): 0.40
გენდერული განვითარების ინდექსი (GDI): 0.962
HDI (2014): 0.754 ადგილი 76
მოსახლეობა (იანვარი 1, 2015): 3,713.7 ათასი
შობადობის კოეფიციენტი (ათასკაცზე, 2015): 15.9

მოსახლეობის დაგანსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები,

ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია: სოფელი, დაბა და ქალაქი.

- სოფელი - დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა მუნიციპალური რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე;
- დაბა - დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;
- ქალაქი - დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტული, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, აწდა ის განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

1.1.3. მმართველობა

საქართველოში მმართველობის ორდონიანი ადმინისტრაციული სტრუქტურაა - ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა.

ადგილობრივი თვითმმართველობა მუნიციპალიტეტებში - თვითმმართველ ქალაქებსა და თვითმმართველ თემებში ხორციელდება.

დღეისთვის ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება 76 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, 64 თვითმმართველ თემში და 12 თვითმმართველ ქალაქში.

მუნიციპალიტეტს გააჩნია როგორც საკუთარი, ასევე სახელმწიფო ხელისუფლებისგან დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება არჩევითი წარმომადგენლობითი

(მუნიციპალიტეტის საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგებელი/მერი) ორგანოების მიერ. სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის ფორმა არის დასახლების საერთო კრება. მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით სოფლებში, ქალები ნაკლებად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც საქართველოს 6 რეგიონში ჩატარდა, საკრებულოში დასაქმებული ქალების საშუალო მაჩვენებელი 9%-ს შეადგენს. ქალები უმეტესწილად პასიურები არიან სათემო გადაწყვეტილებების მიღებაშიც, რაც მათ მიერ საკუთარი როლის აღქმიდან გამომდინარეობს და რაც უკავშირდება ქალის ძირითად საქმიანობად საოჯახო საქმიანობის მიჩნევას.[2]

სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ჩართულობის დამატებითი ქმედითი მექანიზმების შექმნა და მათში ქალების და ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისება. ასევე საჭიროა სოფლის მოსახლეობის აღჭურვა ამ მექანიზმების გამოყენებისათვის საჭირო უნარებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მათ შორის, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების საპილოტე პროექტები, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება სამ მუნიციპილიტეტში - ბორჯომის განვითარების ჯგუფი, ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი და ყაზბეგის განვითარების ჯგუფი[3]. პროექტი ეფუძნება ევროპული LEADER პროგრამის პრინციპებს, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი განვითარების საკითხებში და გადაწყვეტილებების მიღებაში ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების ჩართულობას. სამივე მუნიციპალიტეტში, საზოგადოებრივ საწყისებზე, კერძო, საჯარო და ასევე არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილია ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტული პროექტების შერჩევის და განხორციელების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკა უპირატესად წარმოებს მუნიციპალური დაყოფის მიხედვით. შესაბამისად მონაცემები დიდი სიზუსტით არ ასახავს სოფლებთან დაკავშირებულ მაჩვენებლებს.

1.1.4. მოსახლეობა, მიგრაცია

სოფლის მოსახლეობა საქართველოში მცირდება. საქართველოს მოსახლეობა 3.71 მილიონ ადამიანს შეადგენს (2015 წლის იანვრის მდგომარეობით) ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.[4]. მოსახლეობის 42.8% (2015 წლის იანვარი) ცხოვრობს სოფლად[5] (დიაგრამა 1).

---

[1] სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების დეტალური ანალიზი http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/the%20gender%20nexus.pdf?vs=1&d=20160418T143111

[2] საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილ ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს უწოდებენ - „განვითარების ჯგუფებს" შესაბამისი ტეტერიტორიული არეალის მითითებით

[4] საქსტატი

[5] საქსტატი

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 24%-ით შემცირდა 2002 წელთან შედარებით. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კლების დონე კიდევ უფრო მაღალი იყო (37,4% რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, 29% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში). გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ ემიგრაციაში მიდის, მაღალია შიდა მიგრაციის დონეც. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი ურბანულ ცენტრებში, ძირითადად ქალაქებში მიემართება. მიგრანტების განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის შემოდინება დედაქალაქში ხდება. სოფლის ტერიტორიებიდან მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზია სამუშაო ადგილების ნაკლებობა ან არარსებობა. სტატისტიკის მიხედვით, მიგრაციის მაჩვენებელი კაცებში გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალებში[4]. ასევე, ხარისხობრივი კვლევები აჩვენებს, რომ სოფლად მინამყურნეობების დიდი ნაწილი დამოკიდებულია ქალების შრომაზე.

დიაგრამა 1. ქალაქის და სოფლის მოსახლეობა[5]



წყარო: საქსტატი

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდება მოსახლეობის სიმჭიდროვით, დასახლებების სიდიდით, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპებით. დაბლობები და შავი ზღვის სანაპირო ზოლი შედარებით უფრო მჭიდროდ არის დასახლებული, ვიდრე მთიანი ადგილები.

1.1.5. მაღალმთიანი რეგიონები

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები საქართველოს დაბლობთან და ურბანულ რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ხასიათებით

---

[4] *მიგრაციის სტატისტიკური კრებული (2015), http://www.geostat.ge/cms/site_upload_files/migration/migration_report_2015.pdf*

[5] *ბოლოდროინდელ ინფორმაციას 2014 წლის საყოველთაო აღწერით, რომლის შედეგებიც მხოლოდ ოკუპაციამდელ ტერიტორიებზე ეკუთვნის, ფიქსირებს.*

ხასიათდება. ძირითადი პრობლემებია: ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია, მიგრაცია, უკიდურესი სიღარიბე, სუსტი ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის და სხვა საჯარო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

მაღალმთიან რეგიონებში შემოსავლის ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობაა. მაღალმთიან რეგიონებში, სოფლის მეურნეობაში დასაქმება მთლიანი დასაქმების 47%-ს შეადგენს. თუმცა, სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა და მიწის ფრაგმენტაცია განაპირობებს იმას, რომ ფერმერები წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მნიშვნელოვანწილად საკუთარი მოხმარებისთვის იყენებენ. ქალები წარმოადგენენ თვითდასაქმებულების დიდ ნაწილს. 2015 წელს, თვითდასაქმებულ ქალთა 58.6% დაკავებულია არაანაზღაურებადი საქმიანობით.

მაღალმთიან რეგიონებში სამუშაო ადგილების შემქმნელი საქმიანობების სიმცირე აბალგაზრდების მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. 2015 წელს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა უარყოფითი იყო და -473-ს შეადგენდა, მაშინ როცა შიდა ქართლში (ბარი) ეს მაჩვენებელი 569 იყო. (საქსტატი, 2015). ბუნებრივი ზრდის ასევე უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის (-399) და მცხეთა-მთიანეთის (-184) რეგიონებში.

მაღალმთიან რეგიონებში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოფელში არის ექიმი, რომელსაც შეუძლია ადგილობრივ მოსახლეობას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს, ადამიანებს მედიკამენტების შეძენისას აფთიაქების შეზღუდული რაოდენობის გამო სირთულეები ექმნებათ, ამიტომაც მათ უწევთ ქალაქებში წასვლა.

განათლების ხელმისაწვდომობა ნაწილობრივ პრობლემატურია. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ყველა სოფლის სკოლაში ხორციელდება, ხოლო საბაზო ან/და საშუალო საფეხურები - მხოლოდ რამდენიმე სოფლის სკოლაში. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მთიანი რეგიონებიდან აბიტურიენტების საშუალო მაჩვენებელი უფრო დაბალია ვიდრე ქალაქში მცხოვრები აბიტურიენტების. გარდა ამისა, სტუდენტებს მაღალმთიანი რეგიონებიდან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისას აქვთ ფინანსური პრობლემები[8].

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2015 წელს მიღებულ იქნა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი. კანონით მაღალმთიანი დასახლება განსაზღვრულია, როგორც დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის ან მეტ სიმაღლეზე მდებარეობს. ამის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით (მთის ფერდობის დაქანება, ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობა, კლიმატი და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო მიწების

[8] *შრომის მოთხოვნის კვლევა STEM საგანმანათლებლო პროგრამებსა და საქმიანობებში მონაწილეობის მაჩვენებლები საქართველოში (2014), MCA საქართველო*

უკმარისობა, დემოგრაფიული ვითარება, მათ შორის გამწვავებული მიგრაციული პროცესები) მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევებში კი -იმავე კრიტერიუმების მიხედვით 800 მეტრზე დაბლა მდებარე დასახლებასაც. ზღვის დონიდან შესაბამისი სიმაღლის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კანონით შემდეგ ადგილებს მიენიჭა: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი და რაჭა. ასევე, მაღალმთიან დასახლებაში მოქმედ მეწარმე-სუბიექტებს ენიჭებათ სპეციალური სტატუსი და გათვალისწინებულია შეღავათები.

კანონი ითვალისწინებს სპეციალურ შეღავათებს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ადამიანებისთვის. გათვალისწინებულია შეღავათები ორი მიმართულებით - სოციალური და საგადასახადო.

კანონის თანახმად ასევე, შეიქმნა მთის განვითარების ეროვნული საბჭო, რომელიც მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე მუშაობს.

1.2. ეკონომიკური მიმოხილვა

1.2.1. მთლიანი შიდა პროდუქტი და ვაჭრობა

მთლიანი შიდა პროდუქტი: 2015 წელს, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 8,550.9 ლარს, ხოლო ნომინალური მშპ - 31,755.6 მლნ ლარს. ამავე წელს მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელი 2.9%-ს შეადგენდა (ცხრილი 1). წლიური ინფლაციის საშუალო დონემ 2015 წელს 4.0% შეადგინა.

ცხრილი 1. მშპ-ს ზრდა საქართველოში

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	9.4	12.6	2.4	-3.5	6.2	7.2	6.4	3.4	4.6	2.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	3,133.1	3,866.9	4,352.9	4,101.3	4,675.7	5,447.1	5,818.1	5,987.6	6,491.6	8,550.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP ($)	4,914.1	5,788.6	6,124.7	6,025.6	6,568.3	7,286.9	8,002.4	8,527.3	9,158.2	9,629.9

წყარო: საქსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2015 წელს, მშპ-ს სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მრეწველობას (16,8%), ვაჭრობას (16,7%), და ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას (10,5%) უჭირავს. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 9.1%-ია (დიაგრამები 2 და 3).

დიაგრამა 2. ნომინალური მშპ და რეალური ზრდა



დიაგრამა 3. მშპ-ს სტრუქტურა



წყარო: საუნტატი

ბიზნეს-სექტორი: 2006-2015 წლებში, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 4-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 57.0 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან სამეწარმო საქმიანობაში სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სექტორების ბრუნვა ამ პერიოდში 6.5-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 304.8 მლნ ლარი შეადგინა[4]. ამავე პერიოდში, პროდუქციის გამოშვება 7.6-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 340.9 მლნ აშშ ლარი შეადგინა. ბიზნეს სექტორში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 2006-2015 წლებში 2.7-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 11 840 ადამიანი შეადგინა. ამავე პერიოდში, სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 4.0-ჯერ გაიზარდა და 2015 წელს 577.4 ლარი შეადგინა.

[4] *სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა*

საგარეო ვაჭრობა: საქართველოს საგარეო ვაჭრობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2006-2015 წლებში საგარეო სავაჭრო ბრუნვა დაახლოებით 2,2-ჯერ გაიზარდა. 2015 წელს, საგარეო სავაჭრო ბრუნვამ მიაღწია 9,9 მლრდ. აშშ დოლარს, ექსპორტმა - 2,2 მლრდ. დოლარს, ხოლო იმპორტმა - 7,7 მლრდ. დოლარს.

2015 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 27.8%-ს შეადგენდა (612.2 მლნ აშშ დოლარი), ხოლო იმპორტში - 14.3%-ს (1,106.4 მლნ აშშ დოლარი). ძირითად საექსპორტო პროდუქტებს თხილი და ღვინო წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პირველადი და კვების პროდუქტების იმპორტი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატებოდა ექსპორტის მოცულობას, რაც ძირითადად განპირობებულია ამ პროდუქტების წარმოების დაბალი მოცულობით და შესაბამისი სექტორების სუსტი კონკურენტუნარიანობით უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სხვადასხვა კატეგორიის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია:

- ✓ ღვინო, არაალკოჰოლური და სპირტიანი სასმელები: ევროკავშირის ქვეყნებიდან ნიდერლანდები, საფრანგეთი, პოლონეთი, ლატვია და ლიტვა, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან - რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, ყაზახეთი;
- ✓ თხილი და კაკალი: ევროკავშირის ქვეყნებიდან იტალია, გერმანია, ესპანეთი და ჩეხეთი, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან - რუსეთი და უკრაინა;
- ✓ ხილის და ბოსტნეულის კონსერვები: გერმანია, ავსტრია, სლოვაკეთი;
- ✓ ხილის და ბოსტნეულის წვენები: გერმანია და საბერძნეთი;
- ✓ თხილის ფქვილი: გერმანია, საფრანგეთი;
- ✓ ციტრუსი: დსთ-ს ქვეყნებიდან რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი;
- ✓ მსხვილფეხა და წვრილფეხა ცოცხალი პირუტყვი: აზერბაიჯანი, ლიბანი, საუდის არაბეთი.

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი:

- ✓ **თხილი** - გაიზარდა 4%-ით (5.4 მლნ. აშშ დოლარით) და 149.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა იტალიაში (27%-ით და 9.5 მლნ. აშშ დოლარით) და გერმანიაში (40%-ით და 13,6 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია (30%), გერმანია (32%), ესპანეთი (8%) და ჩეხეთი (7%);
- ✓ **ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები** - გაიზარდა 38%-ით (2.1 მლნ. აშშ დოლარით) და 7.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიაში (42%-ით და 1.4 მლნ. აშშ დოლარით) და ავსტრიაში (5-ჯერ და 1.2 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია (62%), ავსტრია (20%), სლოვაკეთი (8%).

- ✓ თბილის ფქვილი - გაიზარდა 50%-ით (1.3 მლნ. აშშ დოლარით) და 4.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიაში (46%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია (61%), საფრანგეთი (21%).

2015 წელს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში, 2014 წელთან შედარებით 43%-ით (228.5 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 306.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 10%-ით (65.0 მლნ აშშ დოლარით) არის შემცირებული ასევე აგროსურსათის იმპორტი დსთ-დან.

სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამუშავებული პროდუქტების ექსპორტისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმება ძალაში შევიდა 2014 წლის პირველი სექტემბრიდან. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (CIS) და თურქეთთან (2008 წლიდან), უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან. 2016 წელს საქართველომ დაასრულა მოლაპარაკებები თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნასთან დაკავშირებით ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA). 2016 წელს დასრულდა მოლაპარაკებები თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის, განსაკუთრებით კი ღვინის ექსპორტის ზრდისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: სამეწარმეო, საინვესტიციო და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო საქართველოში მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ამასთან, სოფლის მეურნეობაში და დაკავშირებულ სექტორებში პირდაპირი ინვესტიციების წილი დაბალია. 2007-2015 წლებში სოფლის მეურნეობაში მთლიანი ინვესტიციების წილი საშუალოდ 1.1%-ს შეადგენს და ჯამურად 124.1 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს სოფლის მეურნეობაში შემოსულმა ინვესტიციებმა გადააჭარბა წინა წლების მაჩვენებელს და 14.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 19%-ით აღემატება 2014 წლის მონაცემს.

1.2.2. ეკონომიკური აქტივობა სოფლად

სოფლად ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია და სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა იწვევს მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტეს აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 48%-ზე მეტი თბილისში იქმნება, რაც საქართველოს ეკონომიკის ურბანიზაციის მაღალ დონეზე მეტყველებს. დამატებული ღირებულების ყველაზე მცირე ნაწილი - 2% გურიის რეგიონზე მოდის (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება რეგიონების მიხედვით (2014)

რეგიონი	დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)
კახეთი	1 459.1
თბილისი	12 147.1
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	1 485.2
ქვემო ქართლი	2 162.9
სამცხე ჯავახეთი	724.6
აჭარა	2 039.7
გურია	584.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 807.4
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2 685.2
მშპ საბაზისო ფასებში	25 095.7

წყარო: სტატისტიკა

<u>სამეწარმეო საქმიანობა რეგიონების მიხედვით</u>

რეგიონებში საწარმოთა ბრუნვის და გამოშვების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება თბილისის მაჩვენებელს. თბილისის წილი საწარმოთა მთლიან ბრუნვასა და გამოშვებაში წლების მიხედვით მაღალია. 2015 წელს, თბილისზე ბრუნვის დაახლოებით 72% და გამოშვების 66% მოდის. რეგიონულ ჭრილში საწარმოთა ბრუნვის და გამოშვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აჭარის რეგიონში. ბრუნვისა და გამოშვების ყველაზე მცირე მაჩვენებლით რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი გამოირჩევა (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. სანარმოთა მრუდნა და გაფრთიანება რეგიონების მიხედვით



წყარო: საკუთარი

რეგიონების მიხედვით, ბიზნეს-სექტორში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარაშია, ხოლო ყველაზე მცირე - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. თბილისში დასაქმებულთა დაახლოებით 63% მოდის (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო-წლიური რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: საკუთარი

2015 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო-თვიური ხელფასი, რეგიონების მიხედვით, ყველაზე მაღალი მცხეთა-მთიანეთის რეგიონშია, ხოლო ყველაზე დაბალი – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (დიაგრამა 6). თბილისში ფიქსირდება ხელფასების ყველაზე მაღალი მოვულობა - 1,006.7 ლარი

დიაგრამა 6. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი

1.2.3. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა

უმუშევრობის დონე ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. ზოგადად, 2015 წელს სოფლად უმუშევრობის საშუალო დონე (4.8%) მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ქალაქში (21.5%, დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (2015)



წყარო: საქსტატი.

რეგიონალურ ჭრილშიც, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი თბილისშია (21.4%), რეგიონებში კი გაცილებით დაბალი, რაც გამოწვეულია იმით, რომ რეგიონებში მცხოვრები აქტიური მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობებში, ძირითადად კი - სოფლის მეურნეობის სფეროში.

ამასთან, შედარებით დაბალი უმუშევრობა არ ისახება უკეთეს შემოსავლებსა და სიღარიბის მაჩვენებლების პოზიტიურ დინამიკაში სოფლად (ცხრილი 3).

ცხრილი 3. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში 2015 (ათასი კაცი)

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	192.0	467.7	148.9	212.2	200.7	216.6	376.5	226.8	2021.5
[illegible]	180.7	352.0	135.5	192.2	170.4	189.5	343.5	216.1	1779.9
[illegible]	53.2	203.6	42.4	64.0	58.1	69.2	131.4	50.6	753.9
[illegible]	127.4	58.4	93.1	128.1	101.1	114.9	229.8	165.2	1018.1
[illegible]	0.1	0.0	0.0	0.1	0.2	5.4	2.0	0.4	8.4
[illegible]	11.3	95.7	13.4	20.0	30.3	27.1	33.1	10.7	241.6
[illegible]	77.1	242.7	61.5	79.2	82.7	90.3	155.2	69.7	958.3
[illegible]	5.9	23.4	9.0	9.4	15.1	12.5	8.8	4.7	12.0
[illegible]	71.4	56.6	70.8	72.8	70.8	70.6	70.8	74.5	67.8
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

სოფლის და ქალაქის ტერიტორიების ეკონომიკური მონაცემების ანალიზი თვალსაჩინოს ხდის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის საარსებო სტანდარტებს შორის დიდ სხვაობას. თუმცა, ეს განსხვავება ქვეყნების უმეტესობისთვისაა დამახასიათებელი და ამ კუთხით საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობების შემოსავლები წლების მიხედვით სტაბილურად მზარდია როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, 2015 წლის მონაცემებით, სოფლად ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 21%-ით ჩამორჩება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალაქის შემთხვევაში (დიაგრამა 8). 2015 წელს სოფლად დაქირავებულ პირთა საერთო რაოდენობა 257.4 ათასი კაცი იყო, ხოლო ქალაქად ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტი – 496,0 ათასი კაცი იყო. აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებელი[11] წლების მანძილზე სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქად და 25%-ს აჭარბებს, მაშინ როდესაც ქალაქში ეს მაჩვენებელი 20%-ზე ნაკლებია. 2015 წელს საქართველოში ფარდობითი სიღარიბე შეადგენდა 20.1%-ს, მათ შორის - 25.3%-ს სოფლად და 14.7%-ს ქალაქად.

---

*[illegible] ლარზეზმა და ქვემო ქართლის ჩათვლით; ** [illegible] გორი, ზუგდიდი-მარტვილი*

[11] *ფულიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვეშ მოსახლეობის წილი*

დიაგრამა 8. ერთი მინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლები ქალაქად და სოფლად



წყარო: საუბტატი

სოფლის მეურნეობის არასახარბიელო სტრუქტურის მიუხედავად სოფლის შემოსავლები იზრდება, რამაც გარკვეულ როლს ემიგრანტების ფულადი გზავნილები თამაშობს. ამ გარემოებამ გარკვეულწილად შეარბილა სოფლის (სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს) მცხოვრებლებზე უარყოფითი სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების ზემოქმედება.

1.2.4. სოფლის მეურნეობა

სოფლის მოსახლეობისთვის დასაქმებისა და შემოსავლის მირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის 43%, საიდანაც 97%-ზე მეტი თვითდასაქმებულია. სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები დაბალია.

2015 წელს, სოფლის მეურნეობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ (ქვეყნის მშპ-ში) 2,507.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო რეალურმა ზრდამ 1.5%. 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში 9.1%-ია. პირველად წარმოებაში შექმნილი დამატებული ღირებულების 48% მეცხოველეობაზე მოდის, ხოლო 21% - ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანაზე. კვების მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება აღნიშნული პერიოდისათვის 1,827.8 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც მშპ-ს 6.7%-ია. კვების მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 39% მინამეურნეობებში პროდუქციის გადამუშავებაზე მოდის, ასევე მნიშვნელოვანი წილი ალკოჰოლური სასმელების წარმოებას უკავია.

საქართველოს ტერიტორიის 3 მილიონ ჰექტარზე მეტი (ტერიტორიის 43.4%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია, რომლებშიც ასევე შედის სათიბ-საძოვრები, ხოლო დანარჩენი ტერიტორიის 43% დაფარულია ტყის საფარით.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის თითქმის ნახევარი (47.9%) სახნავს წარმოადგენს, საიდანაც 30% დაუმუშავებელია.

დღემდე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში (1992-1998 წ.) განხორციელებული მიწის რეფორმა, რამაც მეურნეობების მცირე ფართობებად დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია გამოიწვია.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 73.1%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 25.5%, ხოლო 5 ჰექტარზე მეტს - მხოლოდ 1.5%. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. აქედან გამომდინარე, მომგებიანი და ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის განვითარება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება ღონისძიებები ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემის შექმნის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი აქვს საკუთრებაში არსებული მიწა ფართობი. შესაბამისად, მათი ეკონომიკური აქტივობისთვის გამოყენება შეუძლებელია (მაგ: საკრედიტო რესურსის უზრუნველყოფისთვის).

ამ ეტაპზე დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტი, რომლის მიზანია მოქალაქეთათვის მიწის რეგისტრაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და რეგისტრაციის წახალისება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიწის პირველადი რეგისტრაციის დასრულების პროცესს. მიწის სრულყოფილი სარეგისტრაციო და საკადასტრო მონაცემთა ბაზის არსებობა კი მიწის ბაზრის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

თანამედროვე ტექნოლოგიების, კაპიტალისა და საბაზისო ცოდნის ნაკლებობამ დროთა განმავლობაში პროდუქტიულობის, მიწის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების/ინოვაციების დანერგვითა და ფერმერების უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებით არის შესაძლებელი. საქართველოს მასშტაბით, 59 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საშუალებით ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლებაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს 43 საზოგადოებრივ ცენტრში საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტ ხელმისაწვდომ სერვისს შორის, ასევე, ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის სამინისტოს შპს „მექანიზატორის" სერვისები.

სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთ ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორს ბაზარზე ფასისა და ხარისხის შესაბამისი წარმოების საშუალებებისა და მომსახურების არარსებობა წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში ფერმერებისთვის მძიმე ფინანსური შედეგებით მთავრდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების პროდუქტიულობის ზრდა და თვითღირებულების შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე. ამჟამად კერძო სექტორში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმეტესი ნაწილი გაუმართავი და ამორტიზირებულია, რაც აფერხებს სამუშაოების აგროვადებში შესრულებას, ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარმოების მოცულობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, მომავალში განხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

საქართველოს სოფლის ტერიტორიებზე სასაწყობე მეურნეობების და შესაბამისი მომსახურებების ნაკლებობაც შეიმჩნევა. შესანახი მომსახურებების ნაკლებად გამოყენების ძირითადი მიზეზი, საწყობების და მაცივრების შემთხვევაში, სოფლიდან დიდი მანძილით დაშორება და ფასია. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაცია.

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2015 წელს, საკვები პროდუქტების წარმოების ბრუნვას[12] გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი ბრუნვის 45.6% უკავია და 2,9 მილიარდ ლარს აღემატება. გამოშვებას გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი გამოშვების 46.6% უკავია და 2,8 მილიარდ ლარს აღემატება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი ფულად და არაფულად სახსრებში 2015 წლისათვის მხოლოდ 7.8%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობები სუსტადაა განვითარებული.

---

[12] საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება სოფლის მეურნეობის სექტორში კერძო ინვესტიციების ზრდის ტენდენცია, თუმცა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ასევე, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით სავაჭრო სალდო ჯერჯეროობით კვლავ უარყოფითია. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური მტკნარი წყლები მათი წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში 70%-მდე აღწევს, დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ქვეყნისთვის მეტი შემოსავლის გენერირებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. განსხვავებული მდგომარეობაა იმპორტის შემთხვევაში: ხორბალი, ხორცი და ხორცპროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, შაქარი, სპირტიანი სასმელები, მცენარეული ზეთი - ეს იმ პროდუქტთა არასრული ჩამონათვალია რომლებიც მნიშვნელოვან საიმპორტო პროდუქტებს წარმოადგენს. აღნიშნული პროდუქტების წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში 42%-მდე აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არასეზონური ბოსტნეულის იმპორტი, რომლის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები არსებობს საქართველოში. ადგილობრივი წარმოების ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მიწოდება ძირითადად სეზონზე ხორციელდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების როგორც ექსპორტის ზრდის, ასევე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - საქპატენტში, უკვე რეგისტრირებულია 18 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, 3 მინერალური წყალი, 14 სახეობის გეოგრაფიული აღნიშვნის ყველი, ჭაჭა, ჩურჩხელა და სხვა. ქართული პროდუქციის მხარდაჭერის, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის პროდუქტების დაცვის მიზნით ევროკავშირთან, დსთ-სა და მსხვილ საექსპორტო ქვეყნებთან გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმებები.

სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის როგორც პირველადი წარმოების, ასევე გადამუშავების ეტაპზე და როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის ბაზარზე განთავსებისთვის მნიშვნელოვანია DCFTA-ით სურსათის უვნებლობის კუთხით აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი და ეფექტიანი იმპლემენტაცია შეთანხმებითვე განსაზღვრული დროითი პერიოდების გათვალისწინებით.

გარდა იმისა, რომ DCFTA იძლევა საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი სატარიფო

ბარიერის გარეშე განთავსების უნიკალურ შესაძლებლობას, იგი მოითხოვს ქვეყანაში შესაბამისი ინსტიტუციების და სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე, მეწარმეთა მხრიდან DCFTA-ით განსაზღვრული ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მოთხოვნების ადაპტაცია განსაკუთრებით მტკივნეულია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის როგორც ფინანსური, ასევე შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მოძიების კუთხით. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიხედვით, გამარტივებული მოთხოვნები ვრცელდება იმ ბიზნესოპერატორზე, რომელსაც აქვს ა) მცირე ბიზნესის სტატუსი (წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს) და რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამუშავებას, პირველად წარმოებას და დისტრიბუციას, ბ) იმავე საქმიანობებს ტრადიციული მეთოდებით და გ) იმავე საქმიანობებს არაქარხნული წესით მაღალმთიან რეგიონში. შესაბამისად, ამ ტიპის ბიზნესს არ მოუწევს დამატებითი ხარჯების გაღება, რაც მნიშვნელოვანია მათი კონკურენტუნარიანობის შემარჩუნებისთვის.

1.2.5. ტურიზმი

მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით და სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების, მაგალითად მევენახეობა-მეღვინეობის, განვითარების ფონზე, სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სექტორია ტურიზმი.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ტურიზმის ინდუსტრია დინამიურად მზარდია. ტურიზმის სფეროების მთლიანი გამოშვება 2006-2015 წლებში 2.5-ჯერ გაიზარდა და 3,507.1 მლნ ლარი შეადგინა. 2015 წელს ტურიზმის სფეროების გამოშვებამ ქვეყნის მთლიანი გამოშვების 7.3% შეადგინა, ხოლო ტურიზმის წილმა მშპ-ში - 6.7%.

გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მასთან დაკავშირებული მრავალი სექტორის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, ვაჭრობის, სატრანსპორტო მომსახურების, სხვადასხვა ტურისტული მომსახურებების ზრდას, ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი (სოფლის, რეგიონის) განვითარებისთვის.

სოფლის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც საერთაშორისო, ასევე, შიდა ტურიზმის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ტურიზმის კუთხით, ყველაზე მეტი ვიზიტორები და ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისში ხორციელდება. 2015 წელს, შიდა ვიზიტორების საშუალო ყოველთვიურმა რაოდენობამ 837.1 ათასი ადამიანი შეადგინა, ხოლო ვიზიტების საშუალო ყოველთვიურმა რაოდენობამ - 1,030.1 ათასი. (დიაგრამები 9 და 10).

დიაგრამები 9 და 10. ვიზიტორების და ვიზიტების განაწილება რეგიონულ ჭრილში



წყარო: სტატისტიკა

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით მრავალი ღონისძიება და პროექტი განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო რეგიონებში ტურიზმის განვითარებას. განხორციელდა ტურისტული ადგილების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, საჭირო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარება. მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტები 4-სეზონიანი კურორტების განვითარების მიმართულებით მაღალმთიან რეგიონებში, რომელიც მოიცავს საბაგიროების მშენებლობას, სათხილამურო ტრასების მოწყობას, ველოპარკების და ველოზილიკების მოწყობას, მთის ციგის (ტობოგანის) მოწყობას და ხელოვნურ გათოვლიანებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მთის კურორტების მიმზიდველობას და შეამცირებს სეზონურ დამოკიდებულებას.

საქართველოში განვითარებულია და შემდგომი განვითარების პოტენციალი გააჩნია აგროტურიზმს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის განვითარებისთვის. საქართველო მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით, ნაკრძალებით, მინერალური/სამკურნალო წყლებით, ბალნეოლოგიური, სპა და სამკურნალო ადგილებით, ასევე ზღვისპირა და სამთო-სათხილამურო კურორტებით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ტურიზმის შემდგომი ზრდისთვის.

სოფლის მდგრადი განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია სოფლებში კულტურული ცხოვრების გაღვივება, ხოლო კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, მათ შორის, ტურიზმის სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე, ქმნის მცირე ტურისტულ ინფრასტრუქტურას და ავითარებს ტურისტულ პროდუქტებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე მიმდინარე აქტივობები ტურისტული

ინფრასტრუქტურის და ღირსშესანიშნაობების შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ადაპტირების მიმართულებით. ხორციელდება პროექტი - „ღვინის გზა", რომლის მიზანია საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციულ რეგიონებში ყველა იმ კომპანიის, მცირე საწარმოსი თუ ოჯახური მარნის აღნუსხვა, გადამზადება და პოპულარიზაციცა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ტურისტები. გაკეთებულია შესაბამისი მანიშნებლები ტურისტებისთვის. ეს პროექტი მნიშვნელოვანია როგორც რეგიონებში ტურიზმის განვითარების, ასევე ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის. რეგიონებში ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუდივად მიმდინარეობს კერძო სექტორის წარმომადგენლების გადამზადება და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებებმა ასახვა ჰპოვა როგორც ადგილებზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მიმართულებით, თუმცა ტურიზმის პოტენციალი, განსაკუთრებით რეგიონებში არ არის მაქსიმალურად გამოყენებული და მნიშვნელოვანია მისი შემდგომი განვითარება.

1.2.6. სოფლის ინფრასტრუქტურა - გზები, წყალმომარაგება, გაზის მიწოდება, ინტერნეტი და კავშირგაბმულობა

<u>ირიგაცია/მელიორაცია</u>

საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მიწების მელიორაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან სფეროს ინტენსიური და მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ვინაიდან ქვეყანაში სამელიორაციო სისტემების უდიდესი ნაწილი მწყობრიდან არის გამოსული, ამჟამად სახელმწიფო მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გაზრდის მიზნით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მასშტაბურ ღონისძიებებს ახორციელებს. ამ მიმართულებით კვლავ საკმაოდ დიდი რესურსებია საჭირო არსებული საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების სრული რეკონსტრუქციისა და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის.

მელიორაციის დარგის განვითარების კულმინაციის დროს, საქართველოში მხოლოდ თვითდინებით 278 000 ჰა ირწყვებოდა, დაშრობა კი 105 000 ჰა ფართობზე იყო შესაძლებელი. ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი განადგურდა და 2012 წლისათვის წყალუზრუნველყოფილი იყო 45 000 ჰა, დამშრობი სისტემები, კი - 14 000 ჰა-ს ემსახურებოდა.

მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდის გაზრდის მიზნით, ტარდება ათწლეულების განმავლობაში მწყობრიდან გამოსული სამელიორაციო

ინფრასტრუქტურის მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2012 წლიდან განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამის შედეგად საქართველოში წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი დღეისათვის 106 600 ჰა-მდე, ხოლო დრენირებული 31 575 ჰა-მდე გაიზარდა.

მომავალში კვლავ გაგრძელდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება. შეიქმნება ირიგაციის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს გასარწყავებული ფართობების მნიშვნელოვან ზრდას. განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები. დამტკიცდება სატარიფო მეთოდოლოგია. ხელი შეეწყობა მორწყვის თანამედროვე სისტემების დანერგვას და წყალმომხმარებელთა გაერთიანებების ჩამოყალიბებას.

<u>საგზაო ინფრასტრუქტურა</u>

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქვეყნის საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია/მშენებლობის მიზნით მნიშვნელოვანი ინვესტიციები ხორციელდება. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში 1 603 კმ სიგრძის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაა, რომლის უმეტესი ნაწილი კარგ მდგომარეობაშია. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე 5 298 კმ-ია, რომელთა ნაწილი საჭიროებს საკრეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილი რეგიონებზე მოდის (ცხრილი 4).

ცხრილი 4. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე რეგიონების მიხედვით

2015 წელი	სულ	მათ შორის	
		საერთაშორისო	რეგიონალური/ადგილობრივი
საქართველო-სულ	20553.0	1603.0	5298.1
ქ. თბილისი	52.0*	52.0*	–
აჭარის არ	1565.9	54.3	152.9
აფხაზეთის არ	605.6	204.0	401.6
გურია	884.4	63.8	220.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1645.8	–	388.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3685.6	122.7	740.9
იმერეთი	2767.1	143.6	785.0
კახეთი	2630.9	125.0	716.2
მცხეთა-მთიანეთი	1514.7	178.7	426.5
სამცხე-ჯავახეთი	1519.7	234.5	300.1
ქვემო ქართლი	2033.0	221.9	641.8
შიდა ქართლი	1648.0	202.5	524.2

წყარო: ბაზტატი

სოფლების დამაკავშირებელი გზები, გზები სოფლებში, სოფლებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებამდე მიმავალი გზების ნაწილი არასახარბიელო მდგომარეობაშია და საჭიროებს სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

<u>წყლით მომარაგება</u>

შინამეურნეობების წყლით მომარაგება და შეზღუდული საკანალიზაციო სისტემა საჭიროებს რეაბილიტაციას ან მშენებლობას, რაც პირდაპირ კავშირშია ცხოვრების ხარისხზე სოფლებში.

მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობების წყლით მომარაგება რეგიონებში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, 2015 წლის მდგომარეობით საქართველოში შინამეურნეობების მხოლოდ 55,6% არის უზრუნველყოფილი ბინაში

შევვანილი წყალსადენის სისტემით, ამასთან, ეს მაჩვენებელი რეგიონებში გაცილებით დაბალია (ცხრილი 5).

ცხრილი 5. მოსახლეობის განაწილება სასმელი წყლის ძირითადი წყაროების მიხედვით (%)

2015 წელი	ეროვნული	ურბანული	სოფლის ადგილები	თბილისი	სხვა ქალაქები	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
ბინაში შეყვანილი წყალსადენის სისტემა	32.8	98.6	41.2	31.9	39.8	45.6	55.6
წყალსაგაშენი: ონკანი ეზოში ან უბანში	46.4	1.1	55.5	18.4	24.3	17.9	21.1
ჭა ეზოში ან უბანში	7.3	0.0	3.2	44.1	25.9	21.7	15.8
ბუნებრივი წყარო ეზოში ან უბანში	13.5	0.0	0.1	5.6	10.0	14.8	7.5
სხვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

წყარო: საქსტატი

წყალმომარაგების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რადგან სწორედ ქალებს უწევთ წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან გამკლავება. სოფლად ხშირად სწორედ ქალებს უწევთ შორი მანძილიდან წყლის მოტანა, რაც საკმაოდ დიდ ფიზიკურ რესურსს და დროს მოითხოვს.

ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი

გეოგრაფიული თუ სოციალური ასპექტები ხშირ შემთხვევაში განაპირობებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

- ელექტროენერგიის მიწოდება: ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 99%-ზე მეტს აქვს წვდომა ელექტროენერგიაზე. შემდგომში, მოსახლეობის იმ კატეგორიისათვის, რომლებიც დღესაც უმუქოდ არიან დარჩენილი (ეს არის მაღალმთიან ადგილებში არსებული ერთეული საცხოვრებლები), ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით ელექტროენერგიის მიწოდება განხორციელდება ენერგიის ალტერნატიული წყაროების საშუალებით.

[17] * მოიცავს შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს

საქართველო მდიდარია ჰიდრო რესურსებით, რომელიც განახლებადი ენერგიის წყაროა. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის ჰიდრო რესურსების მხოლოდ 20%-ია გამოყენებული. საქართველოს რამდენიმე რეგიონში წარმატებით მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ჰიდროსადგურები არა მარტო ელექტროენერგიის სუფთა წყარო და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების საშუალებაა, არამედ რეგიონების განვითარების ერთ-ერთ ფაქტორსაც წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ჰიდროელექტროსადგურების გარშემო შექმნილი ინფრასტრუქტურა, კერძოდ წყალსაცავები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ტურიზმის განვითარებისათვის, კაშხლები წყალმოვარდნების კონტროლისა და მტკნარი წყლის ეფექტური მართვის (მაგ.: საირიგაციო მიზნებისათვის) საშუალებას იძლევა. მშენებლობის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობისათვის იქმნება სამუშაო ადგილები, ხოლო ქონების გადასახადი, რომელსაც სადგურების მფლობელი კომპანიები იხდიან, მიმართულია მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში და შესაბამისად, ადგილებზე კონკრეტული სოციალური პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევა. ყოველივე ეს ქმნის ცალკეული მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონის ეკონომიკური განვითარების და სოციალური კეთილდღეობის ზრდის წინაპირობას. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში კვლავაც გაგრძელდება. ახალი სამუშაო ადგილები, მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, ხელს შეუწყობს ასეთ რეგიონებში მოსახლეობის შენარჩუნებას.

- **ბუნებრივი გაზის მიწოდება:** ბუნებრივი გაზი დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 68%-სთვისაა ხელმისაწვდომი. 2020 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70% შეძლებს ამ ენერგორესურსით სარგებლობას.

<u>*კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები*</u>

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის, მათ შორის, სატელევიზიო მაუწყებლობის (ციფრული), სატელეფონო ქსელების არსებობა და უნივერსალურ საფოსტო მომსახურებასთან მოსახლეობის წვდომა სოფლის ტერიტორიებზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი განვითარებისთვის.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყანაში კავშირგაბმულობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, ქალაქად და სოფლად ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა. ამ მიმართულებით ქვეყანაში განხორციელდა და მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტები. როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ქვეყნის მოსახლეობის ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობით სრულად დასაფარად 2015 წელს დასრულდა ანალოგური ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის ფართომასშტაბიანი

სახელმწიფო რეფორმა. შედეგად, ციფრულ სატელევიზიო პროგრამებთან უფასო წვდომა აქვს საქართველოს მოსახლეობას როგორც ქალაქად, ისე რეგიონებში.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლით გამონთავისუფლებული რადიოსიხშირული სპექტრი გამოყენებული იქნება LTE ტექნოლოგიების განსავითარებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში, მათ შორის სოფლად უსადენო ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების განვითარებას. დღეს, მობილური 3G ფართოზოლოვანი ინტერნეტით ქვეყნის ტერიტორიის 84%-ია დაფარული, ხოლო LTE მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტით - 32%.

საქართველოს მთელი ტერიტორია და უმეტესწილად მაღალმთიანი სოფლის ტერიტორიები, ამ ეტაპზე არ არის დაფარული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით, რაც ზღუდავს სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ინტერნეტზე და შესაბამისად, წარმოადგენს ბარიერს განვითარებისთვის.

ზემოაღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, 2015 წელს, საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების მაშტაბური პროექტი დაიწყო, რომლის მიზანია ქვეყნის 2 000-მდე დასახლებული პუნქტი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების მშენებლობა და საქართველოს მოსახლეობისათვის ფართოზოლოვან მომსახურებებთან და მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის ხელშეწყობა. დაგეგმილია, რომ 2025 წლისათვის, საქართველოს მოსახლეობის 98%-ისათვის ხელმისაწვდომი იქნება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი.

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივე მოსახლეობაზე 25.5%-ს შეადგენს, ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების შემცირება მსოფლიოში ზოგადი ტენდენციაა, რაც ტექნოლოგიების განვითარებით და მობილური კომუნიკაციებით ფიქსირებული ტელეფონის ჩანაცვლებით არის განპირობებული.

ფოსტის სფეროს რეფორმის ფარგლებში, უახლოეს მომავალში (2017 წლიდან) ქვეყნის ყველა მომხმარებლი უზრუნველყოფილი იქნება უნივერსალური საფოსტო მომსახურებით, რაც გულისხმობს ხელმისაწვდომ ფასად მოსახლეობის წვდომას ხარისხისბიან ძირითად საფოსტო მომსახურებებთან.

1.2.7. სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა

სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, სახელმწიფო სერვისების მიწოდება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდა. დღეისთვის, ქვეყნის მასშტაბით წამატებით ფუნქციონირებს იუსტიციის სახლები, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო სერვისების უმრავლესობა. იუსტიციის სახლი მომხმარებელს 400-მდე სახის სერვისს სთავაზობს ერთ ადგილზე და დღეში 18 000-მდე მომხმარებელს ემსახურება.

დღეისთვის, საქართველოს მასშტაბით, თბილისის ჩათვლით, 19 იუსტიციის სახლი ფუნქციონირებს. უახლოეს მომავალში იგეგმება იუსტიციის სახლის გახსნა ახალქალაქში.

აღსანიშნავია, რომ სერვისების უმრავლესობა სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის დაფარული ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით, სოფლის მოსახლეობის ნაწილისთვის ამ სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ადგილებზე სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება, მათ შორის:

- ✓ **საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება** - რომლის მიზანია ადგილობრივი საჯარო მმართველობის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება. პროექტის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, სადაც სოფლის მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს და შპს „მექანიზატორის" სერვისებით და სანოტარო მომსახურებით. ცენტრებში ასევე წარმოდგენილია საბანკო სექტორი და ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები („მაგთიკომი", „ლიბერთი ბანკი"). მოქალაქეთათვის ასევე ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

  2011 წლიდან დღემდე აშენებულ 43 საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. აღსანიშნავია, რომ პროექტი მოიცავს მუნიციპალიტეტის ორგანოებში მუნიციპალური მართვის სისტემის (MMS - Municipal Management System) ეტაპობრივ დანერგვას, რაც მუნიციპალიტეტის სერვისებს უფრო ეფექტიანს გახდის და საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებას შეუწყობს ხელს, გამარტივდება და უფრო გამჭვირვალე და სწრაფი გახდება მუნიციპალური სერვისების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და კომერციულ ბანკებს შორის თანამშრომლობით დაინერგა ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია, რომელიც 1 000-ზე მეტ სოფელს მოიცავს და რომლის მიზანია ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროექტის „საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის" ფარგლებში, ზოგ სოფელში ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურას დაემატა საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია, რამაც შესაძლებელი გახადა ეფექტიანი სახელმწიფო სერვისების მიწოდება და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება ტრადიციულ საჯარო ბიბლიოთეკებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სოფლების ნაწილს ამ ეტაპისთვის არ აქვს მსგავს სერვისებზე ხელმისაწვდომობა. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება მომავალშიც გაგრძელდეს.

- ✓ **დამისამართების პროექტი:** მთელი რიგი სახელმწიფო სერვისების მიწოდებისთვის, მათ შორის, სარეგისტრაციო, სოციალური დახმარების, საფოსტო, სახანძრო, სასწრაფო დახმარება და სხვა, მნიშვნელოვანია რომ სასოფლო დასახლებები იყოს დამისამართებული, რაც დღეისთვის სრულად არ არის განხორციელებული. პროექტი ითვალისწინებს ყველა დასახლებულ პუნქტში უსახელო გზების და ქუჩების დამისამართებას და შენობების დანომვრვას. პარალელურად, მონაცემები ელექტრონულ რუკაზე დაიტანება, რაც ქვეყანაში სანავიგაციო სისტემის ეფექტურ მუშაობას შეუწყობს ხელს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის საგადასახადო/საბაჟო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. ასეთ სერვისებს მიეკუთვნება, მათ შორის, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია, ინდ-მეწარმის რეგისტრაცია, საკონსულტაციო მომსახურება, დეკლარირება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად სარეგისტრაციო სერვისებისა, ამ შემთხვევაშიც სერვისების უმეტესობა ონ-ლაინ არის ხელმისაწვდომი, თუმცა სოფლის ტერიტორიების ინტერნეტით არასრულად დაფარვის და ასევე მოსახლეობის კომპიუტერული თუ სპეციფიკური უნარების ცოდნის არასაკმარისი დონის გამო, სოფლის მოსახლეობის ამ სერვისებთან ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია.

რეგიონებში ოპერირებს შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრები, თუმცა ეს სერვის-ცენტრები განლაგებულია რეგიონულ ცენტრებში, რაც განსაკუთრებით მოუხერხებელია იმ სოფლების მოსახლეობისთვის, რომლებიც დიდი მანძილით არის დაცილებული რეგიონული ცენტრებიდან.

1.2.8. სოფლის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც, მათ შორის, მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისკენ და რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის როგორც ფინანსებზე, ასევე ფიზიკურ ინფრასტრუქტურასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

<u>სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა</u>

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს მიერ ხორციელდება „ერთიანი აგროპროექტი", რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამას, მათ შორის:

- **დანერგე მომავალი**, რომლის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით;
- **აწარმოე საქართველოში** (სოფლის მეურნეობის მიმართულება), რომლის მიზანია წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების, ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება/გადამუშავების მიმართულებებით.
- **აგროდაზღვევა**, რომლის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.
- **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება**, რომლის მიზანია, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი, ასევე პროდუქტების შემნახველი საწარმოებისა და მომსახურების განვითარების ხელშეწყობა.
- **შეღავათიანი აგრო-კრედიტი**, რომლის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.
- **პროგრამა - ქართული ჩაი**, რომლის მიზანია საქართველოში უკვე არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

კოოპერაცია: წარმოების ორგანიზების, კაპიტალის მართვის, მზარდი შემოსავლების, გასაღების ბაზრების გაფართოებისა და ფერმერების შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, კოოპერაციული საწარმოებისა და კოოპერატივების ხელშეწყობა ფართოდ გამოყენებადი მექანიზმია. ეკონომიკის მასშტაბების გაზრდით, რის შესაძლებლობასაც იძლევა კოოპერაცია, უფრო მარტივი ხდება თანამედროვე

სტანდარტების და ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე, ახალისებს მაღალი დამატებული ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, რაც ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია ქალთა და ასევე ახალგაზრდათა კოოპერაციული საქმიანობის წახალისება, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათ ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვას, ასევე მათი შემოსავლების ზრდას და სოფლად ცხოვრების სტიმულის ამაღლებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, 2013 წელს შეიქმნა სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდამჭერ პროგრამებს, მათ შორის:

- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფა** - რთული რელიეფის მქონე და მცირე მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით.
- **თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით,** რომლის მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა, თხილის თვითღირებულების შემცირება და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდა.
- **მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა,** რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება.
- **რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა,** რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ/გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივი რძისა და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება.
- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა,** რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოებისათვის დადგენილი აგროვადების დაცვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ასევე მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კუთხით, კერძოდ, ვენახების კადასტრის პროგრამა, ბაზრების დივერსიფიკაცია. ასევე ხორციელდება ღონისძიებები სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის, ლაბორატორიული კვლევებისა და დიაგნოსტიკის მიმართულებებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბების და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის კუთხით და სხვა.

გარდა სახელმწიფო პროგრამებისა, საპარტნიორო ფონდის მონაწილეობით და მხარდაჭერით, სხვა მიმართულებებს შორის, წარმატებით ხორციელდება აგრობიზნესის პროექტები. 2011 წლიდან (დაარსებიდან) დღეის მდგომარეობით, საპარტნიორო ფონდის მონაწილეობით დაფინანსებულია აგრო-პროექტები, მათ შორის: თანამედროვე სტანდარტების მეღორეობის ფერმა (თბილისის მახლობლად), ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობა (იმერეთი), ლურჯი მოცვის ფერმერული მეურნეობა (გურია), ვაშლის ფერმერული მეურნეობა (შიდა ქართლი).

გარდა ამისა, თანაინვესტირების ფონდის მიერ, რომელიც წარმოადგენს კერძო საინვესტიციო კომპანიას, სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელებულია რიგი საინვესტიციო პროექტები, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით აღსანიშნავია, სასათბურე მეურნეობა (ქვემო ქართლი). სოფლის მეურნეობის მიმართულებით თანაინვესტირების ფონდის პრიორიტეტებია: ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით რძის პროდუქტების და ხორცის წარმოება; ექსპორტის განვითარების მიზნით ღვინის, მინერალური წყლების, ხილისა და ბოსტნეულის წარმოება; სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის მნიშვნელოვანი კომპონენტების - შემნახველი მეურნეობების, გადამამუშავებელი საწარმოების და სათბურების განვითარება; საქართველოს, როგორც სატრანზიტო ჰაბის განვითარების მიზნით მარცვლეულის შესანახი ელევატორების და ცხოველთა საკვების წარმოება[14].

<u>*მეწარმეობის ხელშეწყობა*</u>

საქართველოში მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გამომდინარე იქედან, რომ ბიზნეს აქტიურობის 2/3-ზე მეტი თბილისზე მოდის, მნიშვნელოვანია რეგიონებში და ადგილებზე ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.

გარდა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამებისა, ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ბიზნესის, მათ შორის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისკენ და ითვალისწინებს როგორც ფინანსებსა და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას და საკონსულტაციო მომსახურებას.

---

14 წყარო: თანაინვესტირების ფონდი: http://www.geinvest.ge/

2014 წელს (თებერვალში), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ., რომელსაც სააგენტო ახორციელებს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური მექანიზმების გამოყენებით.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს, მათ შორის:

- **აწარმოე საქართველოში:** ა)ინდუსტრიული მიმართულება, რომლის მიზანია მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უმრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით; ბ) სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულება, რომლის მიზანია საქართველოს რეგიონებში (გარდა თბილისისა და ბათუმისა) მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა ახალი სასტუმროების მშენებლობის ან/და არსებულის გაფართოების მიმართულებით. ასევე, ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდების შემოყვანის სტიმულირების მიზნით ადგილობრივი მეწარმე სუბიექტებისთვის Franchise (Management Contract) შეთანხმებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსება.
- **მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა** (აწარმოე საქართველოს ფარგლებში), რომლის მიზანია საქართველოს ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში მეწარმეობის ხელშეწყობა, მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობა, რეგიონულ ბაზრებზე წარმოდგენილი ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის ზრდის წახალისება და დივერსიფიკაცია.

<u>*ინოვაციების ხელშეწყობა*</u>

ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანია ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა. სააგენტო რეგიონების მასშტაბით ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

კერძოდ, იქმნება სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, რეგიონალური ჰაბები და ინოვაციების ცენტრები, რომელთა მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების ამაღლება ტექნოლოგიების და ინოვაციების მიმართულებით, ინოვაციური იდეების წახალისება, მათი პროტოტიპირების და კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობა აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის მიმართულებით. ასევე, რეგიონების მასშტაბით ხორციელდება ხელოვნების პოპულარიზაციისა და მისი განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართული პროექტები. რეგიონებში იმართება კულტურული ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში მეტი ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სოფლის ინფრასტრუქტურა

სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია როგორც ინფრასტრუქტურული (განსაკუთრებით მცირემასშტაბიანი და ადგილობრივი), ასევე სხვა საჭიროებების მოგვარება. ასევე მიშვნელოვანია ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის აქტიურად ჩართვა და კონსულტაციები. საქართველოს მთავრობა ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს, მათ შორის:

- **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.** სოფლის ინფრასტრუქტურული და სხვა საჭიროებების მოგვარების მიზნით, 2009 წლიდან ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ სოფლისთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას რაც ასევე ითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებას და კონსულტაციებს დასაფინანსებელ პროექტებთან დაკავშირებით და დასახლების საერთო კრების აქტიურ მონაწილეობას პრიორიტეტულ პროექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. პროგრამის ფარგლებში გაწეული დაფინანსება მიმართულია ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, კეთილმოწყობის, ასევე, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვისკენ. ამასთან, განსახორციელებელ პროექტს უნდა ჰქონდეს დადებითი სოციალურ ეკონომიკური ეფექტი მოსახლეობის უმრავლესობაზე.
- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.** რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული მნიშვნელობის პროექტები, მათ შორის, გზების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, ტროტუარების მოწყობა/რეაბილიტაცია; წყალგაყვანილობა და წყალნარინები, ხიდების რეაბილიტაცია; გარე გაწათების მოწყობა/რეაბილიტაცია; სასმელი წყლის ჭაბურღილების და სისტემების მოწყობა; საკანალიზაციო სისტემების და